განმარტებითი ბარათი

«საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2023 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების პროგნოზი 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 6 974,2 ათასი ლარით 35 %-ით და შეადგენს 26 827,9 ათას ლარს, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით (ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით) შემცირებულია 19114,7 ათასი ლარით, 42 %-ით.

შემოსავლები შეადგენს 26 723,9 ათას ლარს, მათ შორის:

1) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 24 054,9 ათას ლარით, მ.შ.: ქონების გადასახადი 4750,0 ათასი ლარია, 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1250,0 ათასი ლარით (36 %), დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით 55,0 ათასი ლარით (1%), აქედან გადასახადი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 2901,7 ათასი ლარია; გადასახადი ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 10,0 ათასი ლარი; გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 1503,3 ათასი ლარი; გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 335,0 ათასი ლარი; დამატებული ღირებულების გადასახადი 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5005,2 ათასი ლარით (35 %), დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით 3864,9 ათასი ლარით (25 %) და განისაზღვრა 19304,9 ათასი ლარით.

2) გრანტები შეადგენს 405,0 ათას ლარს, ეს არის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 160,0 ათასი ლარით (65 %);

3) სხვა შემოსავლები 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 555,0 ათასი ლარით (32%) და შეადგენს 2264,0 ათას ლარს, აქედან
ა)შემოსავლები პროცენტებიდან შეადგენს 600,0 ათას ლარს(ზრდა 100,0 ათასი ლარი, 20 %);

ბ) რენტა 560,0 ათას ლარს;

გ) ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები განსაზღვრულია 92,0 ათასი ლარით, (გაზრდილია 6 %), მათ შორის სანებართვო მოსაკრებელი 45,0 ათასი ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 45,0 ათასი ლარით (13 %), სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 2,0 ათასი ლარი;

დ) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება შეადგენს 12,0 ათას ლარს;
ე) ჯარიმები, სანქციები და საურავები შეადგენს 550,0 ათას ლარს;

ვ) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 450,0 ათასი ლარი (100 %).

არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრულია 104,0 ათასი ლარით, მათ შორის:
ძირითადი აქტივები 30,0 ათასი ლარია, არაწარმოებული აქტივები 74,0 ათასი ლარი, (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 4 %-ით, 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 7996,0 ათასი ლარით (99%);

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობა შეადგენს 26827.9 ათას ლარს, 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 6974.2 ათასი ლარით (35 %), დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 19114.7 ათასი ლარით (42 %), 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების პროგნოზი 21344.2 ათასი ლარია, გაზრდილია 2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით დამტკიცებულთან 39 %-ით, დაზუსტებულთან 9 %-ით, მ.შ.: შრომის ანაზღაურება 3951.1 ათასი ლარი (დამტკიცებული +11 %, დაზუსტებული +9%), საქონელი და მომსახურება 5002,1 ათასი ლარი (დამტკიცებული +34 %, დაზუსტებული +9%), პროცენტი 33,8 ათასი ლარი, სუბსიდიები 9704,7 ათასი ლარი (დამტკიცებული+62 %, დაზუსტებული +22 %), გრანტები 171.5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 1471.4 ათასი ლარი (დამტკიცებული +24 %, დაზუსტებული +8 %), სხვა ხარჯები 1009.6 ათასი ლარი (დამტკიცებული+23 %, დაზუსტებული -48 %), არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 5429.7 ათასი ლარით, 2022 წლის დამტკიცებულ

ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 23 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 79 %-ით, ვალდებულების კლება 54,0 ათასი ლარია.

პროექტში პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები წარმოდგენილია შემდეგი სახით: **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები** 6372,6 ათას ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 19 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 3 %-ით), მათ შორის: მუნიციპალიტეტის საკრებულო 1348.4 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 4176.2 ათასი ლარი; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 236,2 ათასი ლარი; სარეზერვო ფონდი 524,0 ათასი ლარი; მგფ-ს და სხვა დავალიანების დაფარვა 87,8 ათასი ლარი;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია დაფინანსდება 8037,7 ათასი ლარით (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 82 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 57 %-ით), მათ შორის:
საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 3246.0 ათასი ლარი, აქედან შ.პ.ს.“საგარეჯო“ დაფინანსდება 462,0 ათასი ლარით; ახალი გზების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 2784.0 ათასი ლარი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დასრულდება ქ.საგარეჯოში წიფლისხევის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები, განხორციელდება ს.კაკაბეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება, ქ.საგარეჯოში ალაზნის ქუჩა IV ჩიხის რეაბილიტაცია, ალაზნის ქუჩა VI ჩიხის რეაბილიტაცია, თბილისის ქუჩა I შესახვევის რეაბილიტაციის სამუშაოები, ს.შიბლიანში ე.წ."თუთუბიანის" გზის მოასფალტება, ს.ბადიაურში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება; სამუშაოების მონიტორინგი და საპროექტო მომსახურება; თანადაფინანსების გათვალისწინებით განხორციელდება: ქ. საგარეჯოში გ. ბრწყინვალეს პირველი შესახვევის მოასფალტება, ბესიკის ქუჩის მოასფალტება, არაყიშვილის პირველი შესახვევის მოასფალტება, ერეკლე მე-2 ქუჩის გაგრძელების მოასფალტება, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელების მოასფალტება, იუნკერთა ქუჩის მოასფალტება;

წყლის სისტემების განვითარება 3094.2 ათასი ლარი, მათ შორის: სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გამოყოფილია 2352.4 ათასი ლარი, განხორციელდება სასმელი წყლის ჭაბურღილების შესაკეთებლად ამქაჩი ტუმბოების შესყიდვა, სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციისთვის მილების შესყიდვა, ს.კაკაბეთში წყალმომარაგების სისტემის დაზიანებული მილის ამოცვლა, დუზაგრამა-თულარის წყალსადენი მაგისტრალის და შემკრები რეზერვუარის მოწყობა, ს.მანავში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების კანალიზაციის მოწყობა, აგრეთვე გათვალისწინებულია სასმელი წყლის ჭაბურღილებზე

დახარჯული ელენერგიის ხარჯის დაფინანსება; ა(ა)იპ.საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევის ცენტრი დაფინანსდება 741.8 ათასი ლარით;

გარე განათება 1490.0 ათასი ლარი, ეს არის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისათვის გათვალისწინებული ხარჯი;

ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციისათვის გათვალისწინებულია 187,5 ათასი ლარი, პროგრამით გათვალისწინებულია ქ.საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილის #9,#13,#15, კოსტავას ქუჩა #12, #14, #16, #17, #18, #20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე საინჟინრო-მონიტორინგის მომსახურების ხარჯები;

კეთილმოწყობა 20,0 ათასი ლარი, ეს არის საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში გათვალისწინებული საკადასტრო-აგეგმვითი ნახაზების შესყიდვის, საპრივატიზაციოდ მომზადებული ობიექტების შეფასების და საიჯარო ქირის განსაზღვრის მიზნით საექსპერტო მომსახურების ხარჯი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსდება 2777,1 ათასი ლარით (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 62 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 27 %-ით), მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 1133,6 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. საგარეჯოს ქუჩების დასუფთავება და დაგვა, წყალსადინარი არხების გაწმენდის, ცენტრალური ქუჩებისა და ტროტუარების თოვლისგან/ყინულისაგან გაწმენდის მომსახურება, ქ.საგარეჯოს ქუჩებში განთავსებული ნაგავშემკრები კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, აგრეთვე, გათვალისწინებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტსა და ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად უფლებამოსილებების ეფექტიანი განხორციელების მიზნით 2023 წლის საწევრო გადასახადი 121,5 ათასი ლარის ოდენობით;

შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“ 1393,5 ათასი ლარი;

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება 150,0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების გათვალისწინებით განხორციელდება ს.გიორგიწმინდაში გუგუტიაანთ უბანში სკვერის მოწყობა, დაფინანსდება 2023 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯი;

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში 100,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია

საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების შესყიდვა

განათლების სფეროზე გათვალისწინებული ასიგნება შეადგენს 3960,5 ათას ლარს, (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 25 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 31 %-ით), მათ შორის:

ა(ა)იპ ,, სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების" დაფინანსება 3669,9 ათასი ლარს; სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა 50,0 ათასი ლარს, ეს არის 2023 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯი;

ა(ა)იპ ,,საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანება" 240,6 ათასი ლარი;

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში 40,0 ათას ლარი, პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია: მასწავლებლის საერთაშორისო დღე, ეტალონის მხარდაჭერა, ,,ეტალონის'' კონკურსში გამარჯვებული მოსწავლის სტიპენდია, მედალოსნების დაჯილდოვება, გარემოს დაცვის ღონისძიება სკოლამდელ დაწესებულებებში;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტით გათვალისწინებულია 3503,4 ათასი ლარი (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 13 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 56 %-ით),

აქედან სპორტის სფეროს განვითარებაზე 1833,2 ათასი ლარი, მათ შორის:

ა(ა)იპ "საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლა" დაფინანსდება 76,8 ათასი ლარი;

ა(ა)იპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება" 876,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „რაგბის კლუბი ვეფხვები“ 374,1 ათასი ლარი;

შ.პ.ს.“საფეხბურთო კლუბი გარეჯი“ 316,5 ათასი ლარი;

სპორტული ღონისძიების ხარჯი 100,0 ათასი ლარი, გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები: სასკოლო ოლიმპიადის მუნიციპალური ტური, სასკოლო ოლიმპიადაში გამარჯვებული გუნდებისათვის ფორმების შეძენა, მუნიციპალიტეტის თასი მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, სპორტული ინვენტარის შეძენა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისთვის, პრიზების შეძენა ფალავნების დასაჯილდოვებლად, წარმატებული ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების დაჯილდოვება, საგარეჯოელი სპორტსმენების სამივლინებო თანხები საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებზე, სპორტი ბარიერების გარეშე, გოგა მაისურაძის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, მუნიციპალიტეტის თასი ფრენბურთში ორგანიზაციებს შორის, მუნიციპალიტეტის პირველობა კრივში, სპორტული ფესტივალი ღია ცის ქვეშ, მუნიციპალიტეტის თასი მკლავჭიდში, სპორტსმენთა ტრანსპორტირების ხარჯი;

სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა 89,8 ათასი ლარი, ეს არის 2023 წელს განსახორციელებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მონიტორინგის ხარჯი.

კულტურის სფეროს განვითარებაზე 1516,5 ათასი ლარი, მათ შორის:

ა(ა)იპ "ბურჯანაძის სახელობის სამუსიკო სკოლა" 249,8 ათასი ლარი;

ა(ა)იპ "კულტურის ობიექტების გაერთიანება" 947,7 ათასი ლარი;

კულტურის ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია, მშენებლობა 177,0 ათასი ლარი, აქედან 50,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიატაციო სამუშაოების პროექტების შესყიდვისათვის, მუნიციპალიტეტის ტურისტული ბაზრის ცნობადობის და ტურისტების რაოდენობის ზრდის თვალსაზრისით ქვეპროგრამაში გამოყოფილია 127 ათასი ლარი შემდეგ ტურისტულ ღონისძიებებზე: საინფორმაციო ფლაერებისა და ბუკლეტების დამზადება, საინფორმაციო ცენტრის შექმნა, მონაცემთა ბაზების დიფერენცირება (განახლება); საინფორმაციო დაფების განთავსება; ცნობადობის ამაღლების მიზნით საინფორმაციო და მედიაკამპანიების დაგეგმვა; აგრო ტურიზმი, ეთნოტურიზმი, ეკოტურიზმი, ღვინის ტურიზმის განვითარება; საგარეო კურსის განვითარება, საერთაშორიო ცნობადობის გაზრდა და სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობა (პოლონეთი, ესპანეთი, ჰოლანდია); ცივ-კოდის ტერიტორიაზე საფეხმავლო და საცხენოსნო ტურის მოწყობა; ბანერები გზატკეცილზე; "მე მიყვარს საგარეჯო"; "ნუშის ყვავილობა მლაშე ტბა" - ფოტო ტური უდაბნოს მისადგომებთან; მედია ტური „ღვინის გზა"- შატოებისა და მარნების მონახულება; "გარეჯობა"; გიდებისა და ინფო ტური; ეკოტური - ჩირის ქარხნის ტერიტორიის დათვალიერება და მონახულება მდგრადი ენერგეტიკის კვირეულის ფარგლებში; უდაბნოს მუსიკალური ფესტივალი; ვაზის სამშობლო-ტური ხაშმში და მანავში (საფერავისა და მანავის მწვანეს ჯიშების გაცნობა); ყველის ფესტივალი უდაბნოში; მწვადისა და ღვინის ფესტივალი; მთის ფესტივალი; ტრენერის მოწვევა-გადამზადება მცირე და საშუალო მეწარმეების; კონკურსი-აღმოაჩინე საგარეჯო (ახალი ტურისტული ლოკაციების აღმოჩენისა პოპულარიზაციის მიზნით); ვიდეორგოლი „ეს საგარეჯოა"; მანავის ციხის მიმდებარედ მუდმივი ფანჩატურების მოწყობა და მანავციხეობის დღესასწაულის მოწყობა; საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე შემინული, განათებული სტენდების მოწყობა „საგარეჯოს წარსული და აწმყო"; ბრენდირებული სუვენირების წინასწარ მომზადება, ტურისტული ობიექტების ვიდეორგოლი, საგარეჯოს რუკების დამონტაჟება;

კულტურული ღონისძიებები 142,0 ათასი ლარი, განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: სახალხო დღესასწაული „გარეჯობა", საახალწლო ღონისძიებები, ფოტოკონკურსი (მოყვარულები), „საგარეჯოს ფესტივალი", პროექტი „მემკვიდრეობა", ქართული სიმღერის კონკურს-ფესტივალი ,,სხვა საქართველო სად არის", ქართული ბენდის კონცერტი, მასწავლებლის საერთაშორისო დღე, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების წახალისება,

ლიტერატურული კონკურსი თემა რევაზ ინანიშვილის შემოქმედება და ბიოგრაფია, გამოფენა სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, თელავის კლასიკური მუსიკის ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“ (თანადაფინანსება), გაზეთი „გურჯისტანის“ შეძენა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოსახლეობისთვის, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა.

ახალგაზრდობის მხარდაჭერა 100,0 ათასი ლარი, განხორციელდება შემდეგი პროექტები: ახალგაზრდების საინიციატივო ჯგუფების, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების და სხვა ინიცირებული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, "მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" თამაშები, შშმ პირთა სპორტულ ფესტივალში მონაწილეობის უზრუნველყოფა, დებატები, ლიტერატურული კონკურსები "ნატვრის ხე" და „მირანდუხტი“, სემინარები(რამდენიმე ეტაპად) პროფესიული ორიენტაცია-კარიერის დაგეგმვა, ახალგაზრდული ბანაკები, 3 დეკემბერი - შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, მინი-ფილმების კონკურსი, ფოტო-კონკურსი "დაიჭირე წამი“, თოჯინების თეატრი სოფლებში, ქალაქობანა, მეგობრობის დღე, "რა? სად? როდის?", ახალგაზრდული იდეა ყველა სოფელს, ფერების ფესტივალი, ქუჩის ხელოვნება - გრაფიტი (მოხატვა ერთ-ერთი მთავარი კედლის), ძეგლების მაკეტები, ახალგაზრდა პოეტებთან შეხვედრა, შეხვედრა ფსიქოლოგთან, თეატრი (ღია ცის ქვეშ), კონკურსი ახალგაზრდული ლოგოს შექმნაზე, 18 მაისი-ეროვნული სამოსის დღე, ფოტო-კონკურსი, ახალგაზრდული ფესტივალი, ახალგაზრდული საბჭოს ინიციატივების მხარდაჭერა, ნაყინის ფესტივალი.

საგამომცემლო საქმიანობა (გაზეთი ,,გარეჯის მაცნე“) 53,7ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსდება 2176.6 ათასი ლარით (2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 3 %-ით, დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია 33 %-ით), აქედან ჯანმრთელობის დაცვა 275,0 ათასი ლარია, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 168,4 ათასი ლარით; სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია 106,6 ათასი ლარით, პროგრამით გათვალისწინებულია არის სოფელ უდაბნოს ამბულატორიის ექიმის ხელფასზე დანამატის დაფინანსება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის ავტომობილის და ინვენტარის შესყიდვის ხარჯი;

სოციალური დაცვა 1901,6 ათასი ლარი, მათ შორის: პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა 14,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 60,0 ათასი ლარი; ბავშვთა კვების დაფინანსების პროგრამა 20,0 ათასი ლარი; უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა 23,8 ათასი ლარი; შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა 49,8 ათასი ლარი; შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა 60,0 ათასი ლარი; მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა 6,0 ათასი ლარი; რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა 5,0 ათასი ლარი; სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა 10,0 ათასი ლარი; სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 310,0 ათასი ლარი; მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა 240,0 ათასი ლარი; ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა 232,0 ათასი ლარი; ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა 60,8 ათასი ლარი; ელექტროენერგიის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა 56,0 ათასი ლარი; მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა 120,0 ათასი ლარი; სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე 180,0 ათასი ლარი; მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა 25,0 ათასი ლარი; ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა 6,0 ათასი ლარი; უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა 18,0 ათასი ლარი; სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა 15,0 ათასი ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 40,0 ათასი ლარი; უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება 304,6 ათასი ლარი; ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა 10,0 ათასი ლარი; წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა 15,8 ათასი ლარი; სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება 18,0 ათასი ლარი; მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა 1,8 ათასი ლარი.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2023-2026 წლები);
2. ინფორმაცია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
3. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
4. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ბ) პროექტის ავტორი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი - ავთანდილ გულიკაშვილი.

გ) პროექტის წარმდგენი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თინათინ ძაბილაშვილი.